

შპს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

„ვამტკიცებ“
გიმნაზიის რექტორი:
ბრძანება № 201 წ.

მოსწავლის მშობელთან/კანონისმიერ
წარმომადგენელთან ურთიერთობის
მექანიზმები

2017 წელი

ხარაგაული

შპს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

მოსწავლის მშობელთან/კანონის მიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მექანიზმები

გიმნაზიაში მოსწავლეთა მშობლებთან ან/და მშობლის კანონისმიერ წარმომადგენელთან ჩამოყალიბებულია ურთიერთთანამშრომლობის მყარი ტრადიცია.

გიმნაზიაში მათი მიღება ხორციელდება კვირის განმავლობაში შეუზღუდავად მხოლოდ საგაკვეთილო პროცესის შემდეგ. კლასის დამრიგებლები, შესაძლო პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, უკავშირდებიან მათ, ინდივიდუალურად აცნობენ ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შედეგებს.

ყველა მშობელი/კანონისმიერი წარმომადგენელი ინფორმირებულია მოსწავლის მიერ გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

გიმნაზიაში დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი, დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მოსწავლეთა გაცდენების დროს, მშობელთან ერთად ზუსტდება გაცდენის მიზეზი დაუყოვნებლივ, ტელეფონის მეშვეობით, აუცილებლობის შემთხვევაში ინიშნება ინდივიდუალური შეხვედრები დადგენილია ღია კარის დღეები.

საგნის მასწავლებლები სისტემატურად, საკომუნიკაციო საშუალებებით, აწვდიან ინფორმაციას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შვილის აკადემიური მოსწრების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

გიმნაზიაში მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად ხორციელდება საადმინისტრაციო პრინციპების შემუშავება, რათა არ გამორჩეთ მოსწავლის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური განვითარების ნიუანსები.

გიმნაზიაში ცდილობს გაზარდოს მშობელთა ჩართულობის აქტივობა სასკოლო საქმიანობაში. მათთან ურთიერთობა ემყარება ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

მშობლები/კანონისმიერი წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გიმნაზიაში მოსწავლეები არ არიან განაწილებულნი კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით, სხვადასხვა ნიჭისა და უნარის ცოდნისა და შესაძლებლობის აღსაზრდელები ერთმანეთს ავსებენ, ეხმარებიან და უზიარებენ გამოცდილებას.

გიმნაზიაში მშობელთან/კანონისმიერ წარმომადგენელთან ერთად ცდილობს და ზრუნავს ჩამოყალიბოს საერთო კულტურული ატმოსფერო, რათა მოსწავლეები

შპს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

აღიზარდონ კულტურული ტრადიციების და ღირებულებების მქონე მოქალაქეებად, თავისი სამშობლოს პატივითა და პატივით.

გიმნაზიაში მშობელთან/კანონისმიერ წარმომადგენელთან ინფორმაციის მიწოდების საშუალებად გამოიყენება გიმნაზიის ვებ და „ფეისბუქ“ გვერდები. შიდა სატელეფონო ქსელი და მობილური ტელეფონი, მშობელთა კრებები, შეხვედრები.

შპს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის
ინფორმირების წესი

2017 წელი

ხარაგაული

შპს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი

1. ზოგადი დებულება
 1. აღნიშნული წესი განსაზღვრავს შპს დედოფალ ვიქტორიას ბრიტანული საერთშორისო სკოლის ცალკეული კლასის დამრიგებლის მიერ თითოეული მოსწავლის მშობლისთვის მოსწავლის მიერ მიღებული აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესსა და ფორმებს.
 2. აღნიშნულ წესს ამტკიცებს შპს დედოფალ ვიქტორიას ბრიტანული საერთშორისო სკოლის დირექტორი.
3. ინფორმირების წესი.
 1. შპს დედოფალ ვიქტორიას ბრიტანული საერთშორისო სკოლის ცალკეული კლასის/კლასების ყველა დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის თითოეულ სემესტრში მინიმუმ ორჯერ მიაწოდოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლის მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.
3. ინფორმირების ფორმები.
 - სადამრიგებლო კლასის კრება (სემესტრში სულ მცირე ორჯერ);
 - ინფორმაციის სპეციალური ფორმით მიწოდება (დანართი N1) (სემესტრში მინიმუმ ორჯერ);
 - 1. დამრიგებელი ვალდებულია ინფორმაცია ნებისმიერ შემთხვევაში მიაწოდოს მშობელს ამ წესის მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტით განსაზღვრული დანართით, მიუხედავად იმისა, ინფორმაციის მიწოდებისათვის გამოიყენა თუ არა მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმები.
 - საჭიროებიდან გამომდინარე;
 - ამ წესის მე-3მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული პერიოდულობით;
 - სატელეფონო საუბრით.
4. მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი.
 1. საგანი;
 2. შეფასება: განმსაზღვრელი, განმავითარებელი;
 3. გაცდენილი შემაჯამებლის თარიღი;
 4. აღდგენილი შემაჯამებლის თარიღი;
 5. მიღებული ქულების საერთო არითმეტიკული ქულა (გაცდენილი შემაჯამებლის გათვალისწინებით).
5. გარდამავალი დებულება.
 1. წესში ცვლილების შეტანა შეუძლია შპს დედოფალ ვიქტორიას ბრიტანული საერთშორისო სკოლის დირექტორს სურვილის ან სასკოლო საოზოგადოების მიერ დასაბუთებული არგუმენტის არსებობის შემთხვევაში.

შპს ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზია
